


1919-19
1919-1919

ԵՐԵՎԱՆԻ ՀԱՅՈՒԹՅՈՒՆ

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
-ԵՐԵՎԱՆԻ ՀԱՅՈՒԹՅՈՒՆԻ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ



-1919-

ՅԱԼՑՈ № 3



„ნაკადული“-ს რედაქციაში

დ ა

წერა-კითხვის სახოგადოების წიგნის მაღაზიაში
იუიდება შემდეგი წიგნები:

- 1) ზღაპრები ვილპელმ და იაკობ გრიმისა. —ფასი. 30 კ.
- 2) ტომის თავგადასავალი, —თხზულება მარკ ტვენისა,
ფასი 50 კ.
- 3) რას გვიამბობს ოთახი, —თხზულება ავენარიუსი-
სა, ფასი 20 კ.
- 4) დასურათებული ასაწყობი ანბანი, —ფასი. 1 მ. — „
- 5) სკრუჟი და მარლეი, —საშობაო მოთხრობა ჩარლზ
ლიკენისისა, ფასი 25 კ.
- 6) დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები — პ. ქ.
ანდრეტსენისა, ერ. სეტ. ტომპსონისა, გ. ინსინი-
სა და რ. კიპლინგისა. ფასი 30 კ.
- 7) ბაგშვილი და სიყრმე, —მოთხრობა ლევ ტოლ-
სტოისა, თარგ. ნინო ნაკაშიძისა, ფასი. 60 კ.
- 8) ორი მხატვარი, —თარგმანი დ. ავალიანისა ფასი. 15 კ.
- 9) სამშობლო ბუნებას სარკე, დასურათებული სა
ყმაწვილო მოთხრობები, —ივანე ელიაშვილისა
ფასი. 30 კ.
- 10) ამხ. „ცისკრის“ გამოცემა: —ლევ ტოლსტოის მო-
თხრობები, ფასი 5 კ.
- 11) შობა, მოთხრობა გურიის ცხოვრებიდან, —ნინო
ნაკაშიძისა ფასი, 5 კ.
- 12) ახალგაზრდა მეფის სიზმარი და დევი—ეგოისტი,
ორი მოთხრობა ოსკარ უილდისა, თარგ. ივ. მა-
შვილიანისა, ფასი 5 კ.

ବ୍ୟାକରଣ ପ୍ରକାଶକ

୨୧୯୮୦୭୩୦ ଲିଙ୍ଗ ଶତାବ୍ଦୀରେ

ଫୋଲୋଫାଲୋ ଡାର୍କାର୍

୧୯୧୨ ଜାନୁଆରୀ ୧୦.



୦ ରୂପାଳୀରୀ



I — აღდგომა, — სურათი	1
II — ქრისტე აღსდგა, — დექტი ს. ფაშალაშვილისა	3
III — ბელნიერი დღე, — ვ. მაღაქაშვილის	5
IV — ოპ, მეც ვიყო ნეტა სიო, — დექტი შიმქრალისა	15
V — კლდე სალი, — ვაჟა-ფშაველასი	17
VI — ორი სურათი, — გ. ჭუჩაშვილისა	23
VII — მხიარული შობა, — მოგონება გიმნაზიელისა, — მოთხოვთა ად. ზარინისა, (შემდეგი) თარგმ. მ. კლიმიაშვილისა	26
VIII — პანდორას კიდობანი, — ძეველი ბერძნული არაკი, (თარგ.) განც საათაშვილისა	33
IX — ქართული შეერლობა, — (მთკლე შიმოხალვა) მ. ჭანაშვილისა	39
X — ასტრონომია, — (შემდეგი), ივ. გომიართელისა	47
XI — ტროადის ომი, — ად. მიქაელერიასა	57
XII — პიგიენა და მედიცინა	62
XIII — გასართობი: გამოცანების აღსნა	64



ძრისტე აღსდგა!..

თ
უ
მ

კოცნებო ბაღრი მოვარე
ამოცურდა ლაუვარდ კაზე
და სხივები საალერსოდ
გამოჰვავნა ქვეყანაზე...

მთელ მსოფლიოს პირზე უკრთის
ღიმი წმინდა სასოების,
თუმცა სძინავს, მაგრამ ძილშიც
რაღაც ნეტარ წუთს მოელის!

აგერ კაში ზარიც დაჰკრეს,
ლოცულობენ სერაბიმნი;
და ქვეყანას სასიცოცხლოდ
ეფინება წმინდა პიმნი!

და გოლგოთას, სად პილატემ
დაიბანა სისხლით ხელი,—



საღ პირეელად ღვთის-მშობელმშალოვანი
დააფრქვეთ ცრემლი მწველი,

იქ ზეციდან ნათლის სვეტად
წმინდა სხივი გადმოადგა
და გისმა ანგელოზთ ხმა:
„იხარებდეთ, ქრისტე იღსდგა“!..

ၬ. ဒေသလုပ်မြို့တောင်း၊





პეზნიერი დღე.



ისუმე იყო, ცოოდა. დედამიწა სულ-
განაბული იყო. შეეი ჩადრით მოფუთვნი-
ლი, თითქოს მოწიწებით ელოდა რაღაცას
და სასოებით, მისხერებოდა მოვარსკვლავე-
ბულ ზეცას. თან-და-თან მოუთმენლობა
იყრინდა... კიდევ რამოდენიმე წუთი, და სა-
სურველი ვარსკვლავიც აითო, შევიმანდი-
ლის ღილები ვაიხსნა... მიწაც ვამოებაასა
მოციმციმეს.

— დოოუნ, დოოუნ... მოესმა არე-მარეს.

— ადე, შეილო, ზეზე, ადე! — დაუძისა მწოლარე სინოს
დედამ და თან ზეანძრია.

— კი, დედი, კი,— თითქოს წამოაბოდვა სინოს და ფიტ-
ხლავ წამოიწია.



სინო მთელი დღე ეხვეწებოდა დედას, ალდგრძნებოდა მარტინის კარზე პირველ დარეკისათანავე გამალვიძეო, და ის დედამაც თხოვნა აუსრულა.

სინოც ტანთ-ჩატაში ჩქარობს.

— ნელა ჩაიცვი, შეილო, ნუ ჩქარობ: ეს პირველი ჩამოჭკრეს...

სინოს გულში ჩიტი ფართხალებს. ხელად მონახა ახალი ტანისამოსი და ჩატაში შეუდგა.

— შეილო, ტანისამოსი არ გაგესვაროს; გზები ჯერ კიდევ არ გამშრალა: ფრთხილად წალი...

— შენი თქმა არ მინდა, დედილო...

— აზხანაგებს დაუძიხე; ისე არ წახვიდე: შეგეშინდება, — არიგებს დედა.

ზარების რეკა-კი ხმა - შეწყობით ეფინება არე-ზარეს და, სადაც-კი მისწვდება, სიხარულს ჰბადებს.

— აბა, დედი, სად არის კვერცხები? — იყითხა სინომ ტანთჩატაში შემდეგ...

— აი იქა, შეილო... ტაბტის ქვევით, კალათში...

სინომაც ხელიდ მიირბინა ნაჩევნებ ადგილის და კვერცხები ამოალიდა.

— ერთი, როგორც გითხარი, ცხონებულ მამაშენს გადააგორე; ორი-კი ბებია-ბაბუას. მამაშენს სანთელსაც აუნაებ; იყიდე იმ ორი კაპიკით... თან, სანამ არ დაიწვის, უდარაჯე, შეილო, რომ არ ჩაქრეს. კვერცხიც კირგა ხანს გააჩერე საფლავზე: ბავშვებმა არ მოგტაცონ...

აგრე არიგებს შეილს დედა და თან უფალს ეველრება, რომ მრავალი იღდგომა გაუთენოს მის სინოს შიგარულად და ჯანმრთელიად.

სინო უკვე კარებშია; სახე უცინის, ტანი უთროის. „აბლა მაინც ხომ კარგად მაცვია, — ვერცინ დამცინებს,“ — გაიფიქრა, სარტყელზე ხელი შემოიცლო და ტოლებს გასძახა. ისინიც მალე გამოეხმაურნენ და უკელანი სიცილ-კისკისით უზას გაუდგნენ.



სინოს არ მოუთმინა გულმა და მაშინვე უთხრა ტრაქებულები რომ ახლი ტანსაცმელი აკვიდა. ამზანაგებსაც თქმით ამა—უნდა ქვემთ-ჩა, მაგრამ გულში-კი დასკინეს: „რად უნდა კარგი ტანისამოსი ამ ჩათლახს,— მაინც ახლავ დასკრისო.“

თ კიდეც მივიღნენ საყდარზე. ხალხი ჯერ ნაკლებადა; თან-და-თან კი იკრიბება. ხმა-მაღალ ლაპარაკს ვერსაც გაიგონებ: ყველა ჩურჩულებს. ეკლესიაში ციფა. ხატებს ჯერ-ჯერობით თითო ორთოდა სანთელი უნთია. საყდრის კუთხეები მიუბნელებულია. შეა ადგილას გარდამოხსნა ასვენია; ხანში შესული ხალხი პირჯვრის წერით ეამზორება. სინომაც იმათ მიბაძა. შემდეგ მივიდა ერთ კუნჭულში და წყნარად გაჩერდა. ამზანაგებმა და ტოლებმა, ვინც კი შეამჩნია, რაღაც ლრე. ჭით შეხედეს და სინომაც შეატყო, რომ დაკინვით მოიხსენეს.

სინოს ეკალივით მოხვდა გულში დაცინვა და თან გაიფიქრა: დაიცადეთ, ჯერ ერთი დამინახეთ ახალ ტანისამოსში და მაშინ დამცინეთ!

სინო არ იყო კოსტა და შნოიანი ბავშვი; ტანისამოსი მუდამ ლარიბული და დაკონკილი ეცვა. ფეხსაცმელი ზამ-თარში თუ ელირსებოდა და მაშინაც რაღაც უშნო და ვეებერთელა. დედამისი განგებ შეაკერვინებდა ხოლმე იმისათვის სრულ ქალამნებს, რათა შიგ ბევრი მჩვირი ჩაჰყოლოდა ბავშვს ფეხების გასათბობად. ეს ვეებერთელა ფეხსაცმელები მუდამ სიცილის საგნად ჰქონდათ მის ტოლებს. მთელი ეს ზამთარი სულ გაიწყდეს გული... მაგრამ სამაგიეროდ ამ სა-ალდეომოდ სინოს დედამ თავის ერთად-ერთ შეილს და ოჯახის იმედს გვარიანი ტანისაცმელი შეუკერა, აგრეთვე კარგი წულები და ქუდი უყიდა. აუსრულდა დიდი ხნის ნატერა და ოცნება სინოს. მისი აზრით ახლა კი ვერავინ დასკინებს. მართიანია არც სიარული იყოდა ლაზათიანი და მუდამ რაღაც დაჩილიჩული დადონდა, მაგრამ დატწმუნებული იყო, რომ თუ კარგ ტანისაცმელს შეკერავდა, სიარულითაც კონ-



ପ୍ରାଦ ପ୍ରେଲୋଇଟା. କୌ ଲା ଅବଳା, ଲୋକ କାର୍ଗାର ମନୋରତାରୁକୁ ପ୍ରଦାନ କରିଛନ୍ତି । ନେହୁଣ୍ଡା, କମ୍ବ ସାହିତ୍ୟରୁକୁ ଯାରଙ୍ଗି ଜ୍ଞାନବା; ଜ୍ଞାନର କିମ୍ବା କିମ୍ବା ଅଲ୍ଲାଇରାକି ମୋଲାମ ମୋଲାମ ଦାବିନ୍ଦାରୀର ଲାଭକାରୀ... ।

Առևտյանու գործոցը. Տեսակ ուղղակա և անտեղակա, գաթոցութա
դա մամուս և աղջուակային բազութա. մասոց մոնթա ոցու դա
հուս զա զաշլատու և անտեղակա պահութա. պարունա ուղարկան ըստ-
քա, ուղարկան պահութա և պարունա ուղարկան ըստաշագա դաշլա.

სინოსევით ბევრი უყარისულებდა სანთელ-კერტებს, გან-
საკუთრებით ახალ შიცვალებულთა ჰატინონები. კოტა ხან-
ში მოელ ს-საფლაოზე აუარებელი სანთლები ციმტიმებდა
ასე გეგონებოდათ, რაღაც ზღაპრული ღამის ყვავილები
გაშლილან მკვდრების სავანებზე, რათა ამ ბრწყინვალე დღე-
სასწაულის ღრუს მათაც გაუნათლდეს მიზნელებული სა-
ფლავებით.

ინათლა. სინოს მაშის ხაფულებზე ხანთელი უკვე დირწვა; სინო თავისუფალია. ახლა ბებია-ბაბუასც დაუდო წითელი კვერცხები ისეთ მოხერხებულ დროს, რომ ოჩივე კვერცხი მის ახლო მეზობლის ბაგშვებმა ირგვეს: სინო, რაკი სრულიად განთავისუფლდა, ხალხით გატენელ საყდარში შევიდა და წირვის შოსმენას შეუდგა. ჩუმჩუმად ტანსაცმელზედაც იხედებოდა და თან-და-თან რწმუნდებოდა, რომ მართლაც ლამაზად ეყვა. წირვაც გათავდა. ყველას სახე ულიმის: ერთმანეთს დღე-სასწაულს ულოკიავნ.

— ქრისტე აღსდგა! ჰეშმარიტად აღსდგა! — გაისმის ირ-
გვლენა.

სინოც აქაა, ცალკე დგას, ამხანაგებში გარევა ვერ გაუ-
ბეჭია: რაღაც სკხვენია — ეკონა, რომ ამხანაგები შემოსეოდ-
ნენ; მაგრამ მისთვის ვისა სკალია: ჟველა გართულია კი-
ლებზე კვერცხების რაფა-რუსა და დატაყბაში.

— კარგიდ გიჩერე, — ნუ აყანყალებ!.. გატეხა... მომე-
ცი! — ისმის ირგვლივ.

სოხარული და ხარხარი ზეცას სწოდება. კვერცხების სერჯულის
გიგანტური დღე



სას ტუჩებზე ჭირისფრის მოცემის არვინ თაკილობს და დიდი-



და და პატარა ტუჩებ-გაცეცხლებულნი ერთმანეთში ვართქან
ვიან.

— ამას ხედავთ, ჩვენი სინო როგორ პატარძალივით მო-
პრაინც-ული დგას? — დაიყეირა ერთმა ბავშვა და ხელი-ხელს
შემოჰკრა.

— ბიჭოს, ტანისამოსიც შეუკერავს ჩვენ ჩანჩქრას, —
დაიძახა მეორემ და ხელიდ მივარდა სინოს. სხვებმაც მოირჩი-
ნეს და ჩვეულებისამებრ შეუდგნენ სინოს ჩქმეტას და გამო-
კითხვას.

— ერთი ამას შეხედე, ახლავე რომ დაუსერია ამ ჩათ-
ლახს, — წამოიძახა ერთმა და სინოს კოჭებზე მიაშეირა ხელი.

სინოს მართლაც სიარულის დროს ფეხი ფეხზე წაეკრა
და შარევალი სულ გაეტალახიანებია. ეს სანახავი სინოსათვის
სიკვდილი იყო, გაწითლდა, ენა დაება, დაიკუზა და გაწმენდა
მოინდომა, მაგრამ ერთობ უხერხულად მოუკიდა და სულ
სასაკილოდ აიგდეს.

— შე ჩოფურა, შენა; რად გინდოდა, რო ასეთი ტანი-
სამოსი გიყიდნია? არ იყოდი, რომ ვერ მოიხმარდი? — ესმის
ირგვლივ გესლიანი სიტყვები სინოს და მიწა ეთხრება.

„ლმერთო, რად გამითენე ეს დღე, რად? — ფიქრობს სი-
ნო და თვალები ეპრემლება; თან ცდილობს ამხანაგების დამ-
ცინავ სახეებს დაემალოს. დიდებში ერევა, შაგრამ შინც ვვ-
რას ხდება: რამდენიმე ცელქი ბავშვი აეკვიატა და სულ
„უშნოვ, ჩოფურავ, ჩათლახო,“ — ეძახიან.

რა ქნას — არ იყის. ათას წილიად უჯობს, რომ მიწა გაე-
თხრებოდეს, ან რაიმე გზით აქედან გადიარებოდეს... ეკო-
ნა, დღეს მაინც თავს დაანებებდენ დამცინავი ტოლები, მაგ-
რამ იმედი არ გაუმართლდა. ეინ იყის, რამდენჯერ უნარია
— ნეტავი გულდამშვიდებული მამყოფა ჩემ ამხანაგებში, ყო-
ველ წუთს არ მეშინოდეს მათი დაკინცისა, და მეტო თუნდ
მომელანო. სინოს ძალიან უყვარდა ამხანაგებში გათამაშება,
შაგრამ ყოველთვის სასაკილოდ იგდებდნენ... და ეს უშხაბდა

სულსა და გულს. როცა თამაშში გართულს და ბეჭნიოერი მომავალი თავდავიწყებულს წამოსძხებლნენ, — აი შე უმნო, შეზაო, — იქავ მოიწამლებოდა და ცყველაფრის ხალისი კვარგებოდა. ამ გესლიანი დაცინვის გამო ბევრმა ამხანაგმა შეაძულა სინოს თავი და სინომაც ერთობ შეიძულა თამაშობა, თუმც საიმისოდ არცავ უკალა არასოდეს. რავი მამა ადრე მოუკვდა, კორათი რომ წამოიზარდა, დედის ოჯახის მოვლაში უნდა დახმარებოდა და შეძლებისადაგვარიდ პირნათლადაც ასრულებდა ამას. სწორედ ამ დილის უკონა, რომ შეურიგდებოდა ამხანაგებს და სამუდამოდ თავს დაახწევდა მათ ჭირდეას; მაგრამ ბედმა უძრუნა.

უკვე მზეც ამოვიდა და მოწერნდილ ციდან სიყვარულით მიესალმა კაცთა სამეფოს. მაგრამ რა? სინოსათვის არც მზეა და არც აღდგომა: როცა სხევბი ხარობდნ, ასე ჰგონია, რომ მას დასკინიან. მოელვარე და ბრწყინვალე მზის ამოსვლაც დაცუნვად მიიღო და ფიცხლავ ჩაქინდრა თავი, ვერ გაუსწორა მხიარულ მიღამოს თვალები. არ ძალუბს პირდაპირ უკაქიროს გნმეს, არც უნდა ესა; ამ წუთს მარტო თავის სულსა და გულში ცქერა სურს და კიდეც ასე იქცევა... ვინ იცის, რა ბეჭნიორი იქნებოდა სინო, რომ ამ წუთში მზე ისევ ჩავიდოდეს და დაბნელდებოდეს, ისე რომ აღამიანებს ვერც კი დაინახავდეს. უველა სძულს, უველიფერი ეზიზლება: მის-ტვის სასიხარულო დღე არ გათენებულა... და გაუთენდება კი ოდესშე? მას რომ ჰკითხოთ, — არასოდეს: ეს დღე უკანასკნელი იმედი იყო მისთვის და, რავი ვერას გახდა, მომავალიც არ ულიმის.

— უმნოვ, ჩოფურავ! — ეძახიან ტოლები, რომელნიც არ ეშვებიან აურგმლებულ სინოს.

— ბავშვებო, რად აწვალებთ ამ ობოლ ბალანას? — შეუტია ცელქებს სინოს მოხუცმა მეზობელმა კაციამ, — რას ჩასკივებიხართ ამ საწყალს? რა წაგიხდინათ?!



უფროსის შემოძიხვით უუღლუტები შეშინდნენ და გული სისახლის ნოს თავი ანგებს. იგი დიდებში დარჩა.

— უზრდელები! არა გრუბვენიათ, ამ აღდვომა დღეს, რას ერთით იმ გუგულივით ბავშვს? იგივე კაცია და სინოს უაბლოვდებოდა.

— ქრისტე აღსდგა, შვილო, — უთხრა და გადაქოცნა, თან განაგრძო: ეს სახავლები, ესენი, — უზრდელები! დაუჯაბნებიათ უწყინარი ადამიანის შვილი...

სინოს კორათი გულშე მოეშვა, დაწყნარდა, დამცინავები რომ მოიშორა. დაუფისებელი სამსახური გაუწია მოხუცმა კაციამ, მაგრამ კოცნითაც დიდად აამა. ახლა სხვებმაც გადაკოცნეს სინო და ეს კიდევ მეტ მალამოდ დიედო გულშე. იამა, რომ დიდებმა უურადლება მიაქციეს და ლირსეულად იკნეს. „ალბად არც ისე სასაკილო კუთხილვარო“, — გაიღიქრა გულში.

— სინო, მოდი ამა ერთი კვერცხები დავკრათ, — უთხრა იმავ კაციამ. სინოც ხელად დაეთანხმა: კვერცხები გასინჯეს და დაპკრეს, გაიმარჯვა სინოს კვერცხმა: ხელად გაუწერება თავი კაციასას.

— შეგარგოს, შვილო, ღმერთმა, — უთხრა კაციამ და გატეხილი კვერცხი მისკა. სინოს კვლავ გაურბინა გულში სიხარულის ნაკადულმა: სიამოვნება იგრძნო.

— მოდი, ახლა მეორე დავკრათ, — უთხრა ლიმილით ისევ კაციამ. მეორეც გაუტეხა სინოს კვერცხმა.

— ბიჭოს, ეს რა კვერცხია? — გაიკვირვა კაციამ და სინოს კვერცხს სინჯვა დაუწყო.

— ეტყობა მაგარია: ამით ბევრს გატეხ, იკოდე. ამასთან რამდენიმე გლეხი მოგროვდა და იმათაც გაიგეს, თუ რაში იყო საქმე.

— ამა ახლა ჩემი კვერცხი დავკრათ, — უთხრა სინოს მეორე გლეხმა და კვერცხიც გაუწერა. სინოს კვერცხი აქაც უდლეველი ფალავანი გამოვიდა. სინოსაც ლიმილი ემატება, თვალები უცინის, ტუჩებს აჩიფრისებს სიამოვნებით.

ბიჭის, ეს რა კვერცხი გამოდგა — სთქვა ლიტერატურული მუზეუმის და ახლო მყოფთ გადახედა. ამ დროს მის სახეზე და სულსა და გულში ათასნაირი ცვლილება ხდებოდა! სახის გამომეტყველებაზე მიხედვებოდით, რომ სინო არ იყო დარწმუნებული თავის გამარჯვებაში, არ სჯეროდა იყო. ასე ეცონა, თითქოს ეს რაღაც მოტყუება იყო და ეშინოდა — ვა თუ უცებ სიცილი დამაყარონ და ისევ მიწასთან გამასწორონო. ამისათვის იყო, რომ აგრე შეშითა და ფანტასით მიმოიხედა ირგვლივ და ისევ კვერცხებს დააცემერდა.

კიდევ დაუკრეს კვერცხი: კიდევ გასტეხა. ხელად ათი კვერცხი ჩაილავა ჯიბეში. ამასობაში მათ გარშემო კარგა ბლობა ხარხმა მოიყარა თავი; ბავშვებიც აქ არიან.

— იქნებ დაყირული კვერცხია, — იძახის ვილაცა.

— არა, ღმერთმანი, მამა არ წამიწყდეს, — ფიცავს გულუბრყილო სინო.

— სინო მართალი ბავშვია: არ ექნება დაყირული კვერცხი...

— იქნებ დაჯარჯულია *), ან ციცრისაა... ან ბატის, — ისმის ირგვლივ.

— არა, ღმერთმანი; არა; სულ უბრილოა, — ჰფიცავს გახარებული სინო.

— არა, ეგ კვერცხი უთუოდ მრობისაა, — ოხუნჯობენ ზოგიერთინი.

სინო თან-და-თან დარწმუნდა, რომ მისი გამარჯვება ნამდვილია და არა მოჩევნებითი. თან იმდედი აღეძრა, გული გაუმავრდა; ძალა იგრძნო თავის თავში; ახლა ყველას პირდაპირ უცემოს: არც არავისი სცხვენია, არც ეშინია. ხედავს, რომ

*) კვერცხის დაჯარჯვა იმერეთში იციან და მდგომარეობს შემდეგში: შესა დიდმარხებას, ან ცოტა ადრეც, კვერცხებს ჩადებენ ქისაში და საკავშირებელ დაქვეიდებენ. ცხელი კვამლი კვერცხის ცილს და გულს ერთანად გამოაშრობს აღდგომამდე. ამნაირად გამოშრობა კვერცხს სიმაგრეს აძლევს.



მისი ამხანაგების ყურადღება ფალივან კვერცხზე მიქროსკოპით და
სინოს დაცინვა არავის ფიქრიდაც არ მისდის. პირიქით, კი-
დევაც შენატრიან, შურთ მისი მდგომარეობა. ხუმრობა
საქმეა? ყველას ყურადღება მიიქცია სინომ, ყველა მის
კვერცხს აქებს. კიდევ გასწორდა იგი წელში; სიამა-
კე იგრძნო. წელინდელი დამტკრება არც კი ასსოვს. უკვე
ოცდა ორი კვერცხი გატეხა, ჯიბებებში ვერ ჩაიტია და ტეირ-
სახოცემი გამოვქმნა. თამაშებია, იცინის, ყველას ეპისტემება.
ახლა სულ სხვითოვ ეჩვენება იქაურობა. ყველას სიხარულს
იჩიარებს, წელინდელივით გამოითიშული როდია; ახლა საერ-
თო მხიარულებაშია ჩამული, საერთო ფერსული ეწვეა. მხე-
საც პირდაპირ უცქერის: არ სცხვენია მისი... აშკარად
გრძნობს, რომ წილი უდევს ცისა და ქვეყნის სიხარულში და
მით ბედნიერია. კიდევ ცოტა ხანი, და დედასც გაახარებს
თავისი გამარჯვებით... ეს ხომ სულ უაღრესი ბედნიერება
იქნება... ახლა კი შეიქნა ეს დღე ბედნიერი სინოსათვის...
გაუმართლდა იმდინ: ბედმა არ უმტკიცა.


3. ମାଲାକ୍ଷିନୀଶ୍ଵିଳି.





16 1958 10
1960 10

ოპ, მეც ვიყო ნეტა სიო.



ო, შეხე! — ბუჩქის ძირის
მელიშება ნაზი ია:
ეშით მაღნობს,
სუნით მათრობს...
ვიშ, რა ტურფა — ლამაზია!

გაზაფხულის მახარობელს
ტრფობის გული გაულია;
თვისკენ იწვევს პაწა სტუმრებს,
ვისგან კება გაუგია.

მაგრამ სიო წყნარად არხევს,
თავს ევლება, უსისინებს:
ხან ჩამალიას მწვანე მოლში,
ხან მწუხარედ უქვითინებს.

ოთიქოს ცდილობს არ აჩვენოს
სტუმრად მოსულ პაწა ქალებს,

ରାଜୁଙ୍କ ଗ୍ରହି—ଏହି ସାଥରାଳିକୁ
ଫାର୍ମିଚୁରୀରେ ସାତ୍ତବ ତାପ୍ତିବ୍ୟାପ୍ତି.

ଓ, ମେଘ ବ୍ୟାପାର ନେବ୍ରା କିମି...


ଏହି ଶ୍ରୀମତୀ ମତ୍ରିରୁଲାଙ୍କ ବ୍ୟେଳି,—
ଦୀର୍ଘ କିମିରେ ମୋହରୀରେ,
କାନ୍ଦିରାପିନୀ ପୁରୁଷଙ୍କାନ୍ଦିରାରେ.

ମିଥିରାଳି.



კლდე

ს ას 0.



ხან-და-ხან რომ ჯანღი
დამეტერება, თვალოთ და-
მიბნელდება, ველარაფერსა
ვხედავ: ვერც მაღლა ცა,
დღე მზიანს, ღამე ვარ-
სკელავებით მოჰქედილს;
ვერც დაძლა დედა-მიწას,

ხან თოვლით და ხან შწვანით დაფარულს; ველარც ჩემ თვალ-
წინ მყვირალ მდინარეს. მხოლოდ იმის ხვიერილი მეშმის ბუნ-
დად, გაურკვევლად... გულში ჩაიხვევა, ჩაიყეცება შავი, მწა-
რე ფიქრები... და იქ, შიგნით ცეცხლია გაჩაღებული, მიგრამ
ცეცხლი ვერა სწვლება მი ფიქრებს დასაწვავედ. კარგი-კი იყო
დაწვა, დაეშორებინა ჩემთვის, რადგან შტანჯავენ, მაწუ-
ხებენ

— ვითომ მინდა ნამდევილად იმითი დაწვა? არა, არა, სულ
ტუუილია. ხან-და-ხან გაჯავრებული წიმოვიტუვი რაღაცას და
ბოლოს-კი ვნანობ... არა, უამათოდ რასლა ვევეანები? რას
დაემზავესება ჩემი სიკოცხლე? ვიკოცხლებდი-კი? — არა მკო-
ნია. ვუიქრობ, რომ მაშინ სიკედილი მოიცავდა მთელ ჩემ
არსებას: ველარას ვიგრძნობდი, ველარას ვიტუოდი...

— თქვენ, ეჭა შეილებო, ჩემთ ტებილო შეილებო, თქვენ
გინაცვალოსთ თქვენი ბედ-შავი, ნაგვეში, გულ-შკერდ და ა-

წრული და ნაცრალ-ქცეული დედა-მშობელი. აღარ გუწიდულია; ჩემთან, აღარ გიყვარვარო? მაშ აღარ ამოხვალო, აღმო-ჟარებები ცებო? თქვენ შემოგვევლეთ თვეს, თქვენ, ჩემი კარგები: ამო-იხდეთ მაინც მაღლა, თქვე ულმერობო, თვალებით თვა-ლები ამოგწოვოთ, ამოგსუტოთ. რამდენი ხანია, რამდენი საუკუნე საუკუნეს სდევს: მზე გაცვდა, მეც გაცვდი, გვძა-ბით, და ვერაფერი ვაგავონეთ. არ იქნა—არ შელირსა ამეცვა-ნეთ ხელში. გადამეცუცნა თქვენთვის თავპირი...

— სიანს თქვენ ვეღარც-კი მიცნობთ, თუ მე დედა ვარ თქვენი და ოქვენ ჩემი გულ-მკერდის ანაგლეჯ-ანასხეპი ჩემი უმაღლერი შვილები, მანდ უფსურულში ჩალაგებულნი, უსიტ-კუოდ ერთი-ერთმანეთზე მწოლარენი... თქვენ ჩემ შვილებს როდი გვძიხისთ ქვეყანა, არამედ ლოდებს კლილისას. ხართ კიდევაც, მაგრამ რასა ჰგავს თქვენი დუმილი? როგორ დაეი-ჯერო თქვენ მკვდრები იყვნეთ. ადამიანს-კი მკვდრები ჰერი-ხართ; არ იცის იმინ თქვენი ჯიუტი ხასიათი. ეგ სიჯიუტე ჩემგან გქირთ: მე შეგაწოვეთ რძესთან ერთად. დაგავიწყდათ განა? ოჯ, ღმერთო, ღმერთო!.. აბა თუ ერთხელ მაინც გა-მეგონოს იმათვან ილერსინი სიტყვა: დედა, დედაო, ჩენიო დედიკუვო?.. რა უბედური ვარ, დიდი უბედური!.. ერთხელ რომ მაინც ეთქვათ ჩემ შვილებს, დედაო; მაშინ ხომ ერთი ათასად გავიზდებოდი, ქედს მაღლა ავწევდი და ასე წელ-მო-წყვეტილი და თავ დახრილი არ ვიქნებოდი, შვილების ძახი-ლით დაღლილ-დაქან ცული, ქანც-გაძოლეული.

— ვისგანდა უნდა მოველოდე დედობის თქმას? ღმერთმანი, ნისლი მომმართავს ამ სიტყვით? არასოდეს. ის მოვა ფშეინ-ვით, დამტეურება ზედ, შემომერტყმის გარშემო, თან ფშეინავს, დუდუნებს რალაკას, ვეონებ უნდა ლოცულობდეს: „კლდეო, შე საწყალო, რას ოხრაე, რასა შფოთავ: პატარახან თვალი მოატყუე.“

— თითქოს გავემზადები საძილედ, ბურანში წავალ, მაგრამ ჩემი შვილების პატრონს რა დამაძინებს?

— არწივი მეტყვეს დედობას? არა... იმას მხოლოდ განსცემული მიზანით შეძლოდა და აქედან თვალის კერა, რომ საღმე მიდამოებში მსხვერპლი შეიგულოს და დაუქროლოს. მოჰყება ისიც ხვეწა-კვნესას. ნეტავ ვიცოდე, იმას რაღა ახვნებებს? რა დარღი დასწოლია გულზე? როდი მიამზობს, ხმას არ ამოიღებს, კრინტს არ დასძრავს, მხოლოდ ხვეწის გულის საკლავად. ერთხელ ძლიერ ვათქმევინე დარღის მიზეზი. აი რა სთქვა: „უკადვებით დატვირთული ვარო; არ შემიძლია ვიკუცხლო, თუ უკადვა არ ჩავიდინეო. უნდა მოვკლა და ვქამოვო, ვკლა და ვქამოვო! როდემდის ასეო?“ სთქვა და ვარებდა.

— რამდენჯერ ვსთხოვე: „ჯანი გაქვს, ჩაფრინდი და ავერ ერთ-ერთი ლოდი ამომიტანე, რომ გულში ჩავიხუტო მეთქი.

„ჩემი ბრჭყალი ლოდებს არ დაეკარება, არ მოევლება, რადგან არც ხორცი აკრავთ, არც ტყავი და არც სისხლი სდითო. — აი რა სიტყვით მიშორებს თავიდან. ნეტავი ხელები მქონდეს, ან წელში მოხრა შემეძლოს, ჩემი დაკარგული შვილები მომემოშა და დამესევენა გულ-მყერდზე, ყველა — თავის ალიგას. მაგრამ რა ვქნა მე საბრალომ, რომ უფალს არ უბრძანებია ჩემთვის ვიქონიო ხელები, ავიხარ-დავიხარო, დაფირა ადგილიდან...“

— ვინ მეტყვეს დედობას: ჭილუვავები? — არა, არც ისინი: ვუნდიგარ მხოლოდ საფარ-სამალად; ჩხავილით ყურები ამიწერებს და ბრჭყალებით კაბის კალთები დამიძენდეს... მადლობა მითხრან? არასოდეს. იმათი გული მადლობის გრძნობას ვერ გამოიწურავს, რადგან შავია, როგორც თვით ჭილუვავების ბუმბული.

— ჩემი მადლობელი მხოლოდ მლივია, პატარა, ნაცარა ჩიტი. დამფრთხალიერი, მხრების თახთახით რომ დაფრინავს; მოვარდება ჩემრან გულ-გახეთქილი, თრთის, კანკალებს, ღრება შიშით, ვინ იცის არა შეაშინა: ყველაფერი აშინებს: „მი-



შველე, ჩემთ დედოლო, ნუ მოუშვებ ჩემთან ნურ ქართული ნურც ალალს: - მომყლავენ, მიტევენ; მიშველე, დაძიფარეო.”

— ძალიან გულ-ჩვილია და ძალიან საწყალი, სუსტი, ბეჭავ-ზე ბეჭავი არსება. რა ვქნა, მეც შეილობას ვეუბნები, თუმცა იგი მე— კლდეს, ამაყს, სილს, დიდებულს— რა შეილობას ვა-მიწევს. მე კიდევაც რომ დედობა გაუწიო? შეუძლიან ვანა? არა... მლივი ვერ იქნება, კლდის შეილად, ვით კავი შეი ლად ლომისა. მლივმა როგორ უნდა შეასრულოს ანდერძი კლდისა: ვინ მისცა უძლიურ არსებას იმდენი სიმტკიცე, მხნე-ობა, სიძლიერე სულისა ასრულოს, უპატრონოს, ექმნას და-რაჯად ჩემ ნდომა-სურვილთა და მისწრაფებათა. სად შეუძლიან მაგ დამდნარს, გამქრალს შიშით, თრთოლით გალეულს, უმხედროს დიდებულს, უკვდავების წალილს კლდისას?! ეს სურვილი მხოლოდ კლდისა და კლდის მზგავს მის ანაგლეჯს, მის ჯიშისას, შეუძლიან დაიკვას და აღასრულოს ლირსეუ-ლად.

— აი რისთვის ესტირი დღე-ყოველ, რისთვის მედაგება გუ-ლი, მეშრიტება სისხლი და გონება, როცა დავცემერი ჩემ შეილებს, ჩემ გულ-მეურდიდან ინიგლეჯ ლოდებს. რამდენიც მეტი მომწყდება გულიდან და ჩაილეწება ჯურლმულში, იმ-დენად მე სიკვდილს ვუახლოვდები, უკვდავების მოტრფიალე მსასოებელი მთელი ჩემი არსებით. აი რად მინდა ასე გაგიუ-ბით მოგმოშო ჩემი შეილები და შემოვაწყო, შემოვირიგო გულ-მეურდზე.

— მლივო, საბრალო მლივო! იცოცხლე საცოდავო, ღმე-რთმა გამოროს ყოველივე განსაცდელი: შენ რა შეილობას მისამ, შე საწყ-ლო!.. სუსტი რომ არ იყოს და ჩემში ძალის არ ჰედავდეს, არც მლივი მომეპყრობოდა ასე ალერსით... რას მეწამლება მწირი ბალახების და ლეთის ლოცვა-მუდარაში ჩამომდნარ მესვეტედ დაყუდებულს ყვავილთა და მცენარეთა სიყვარული?!

— გოგოებო, ბიჭებო! მაშ არ გესმისთ ჩემი ძახილი? ვაი თქვენს

ცედას! ზურგშე გველები დაგუოცავთ; ეგ მაინც არა გვი-
რავთ; მოიშორეთ, არ შეგიძლიანთ!.. ვით მე საბრალოების კოდეს

ამ დროს ლოდების გროვას სიცხის ბული ადგია თავსა,
როგორც ან ჯარა გუბე მდინარისა, რომელიც ზედ დასთრო-
და და დაპკანკალებდა, ელ-ტილობდა, თვალსა და თვალს
აკეთებდა, თითქოს ჰერი უხილავ არსებად ნართად დაურთვე-
თო, ქსელი გაუბამთ და ათასნარი ფერადებითა ჰქონებონ.
ხოლო ლოდებშე იგლარჩებოდა გველები, განცხრომაში იყვ-
ნენ...

ამ კლდის პირდაპირ სხვა კლდე სჩინდა, ყვითელი, თავით
ბოლომდე ნაწვეთით გაელენთილი ხაესით დაფარული; იმის
თვალ-წინ ერთ ლოდსაც ვერა ნახავდა ადამიანის თვალი.
მრისხანე მდინარე ან ჰერავდა შიგ ჩაგარდნილ ლოდებს, ან
ქეეთ მიაქანებდა და უჩინრად ჰქმნიდა. ყვითელ კლდეს არა
ჰქონდა გამოცდილი დედა-შეილური გრძნობა, მაგრავ უგდებ-
და რა ყურს თავის მეზობელ კლდის მოთქმის, იმასაც გული
უკვდებოდა მის საცოდაობით, თუმც პირველისთვის ჯერ ხმაც
არ გაეცა...

— შეილებო, შეილებო, მაშ იღარ გამცემთ ხმას, უნდა
მოელი ჩემი სიცოცხლე ამ ვაებით დაელიოთ!.. მაშ იღარ გი-
ყვარვართ?.. ან-კი გიყვარვართ ვისმე სხვის, ჩემის იმაგით
მცხოვრებელ ს?.. — ამბობდა კლდე სალი და ამოშედა გულიდან
საშინელი ჭვითინი.


— ეე მიყვარხარ, მე... დიალ მე... სხვის ნურავის სიუვა-
რულის იმედი ნუ გაქვს, — უპასუხა გაღმიღან კლდემ ყეითელ-
მა და შეამოწმა მისი ქვითინი თავის მოთქმა-გოდებით. არ-
ყმა კლდის შეა წელზე მდგომარებ შეარხია ტოტები; ბებერ-
მა მუხამ, მრავალთა საუკუნეთა მოწამემ, ბრძოლაში უშიშრო
რაინდივრი მკრდ-გამოწეულმა უფრო წინ გამობერა შეერდი,
ტანში შეიშმუშენა.

უცბად თვალის დახამხამებაზე შეიცვალო სურათი... მოე-
ბი და ხეობები გაივსო ჯანლებით და ლრუბლებით; დაუშვა

კოკის-პირული წვიმა, შეერთებული კლდეთა ცრემლიანურისა, მოდა საშინელი, ერთმანეთში არეული ხმაურობა ფრთხეულზეა მოგროვილიყვნენ არწივნი, სვავნი, ყოჩანნი, ქორ-შავარდენ-ნი, ორბნი; ყველა თავის ენაზე მოსთვამდა; კლდებს შავ-ზეწრად ჯანღი გადაჭვარებოდა. ტიროდნენ კლდებთან ერთად ფრინველნი, ყვავილნი და მცნარენი კლდისანი, დაიქვითინა მოხუცმა მუხამაც და ააქვითინა გაღმა-გამოლმა ხეები; ტიროდნენ ყვავილნი, ქქრანტანი, მილეულ-მიბნედილნი, ყვავილნი კლდისანი, ძლიერ რომ ახელდნენ თვალებს, ქვებსა და ქვებს შეა ხავსზე ამობზინებულნი; კლდეთა და ლრუბელთა ცრემლით გალუსკვილი ფრინველნი ძლიერს-და ფრინავდნენ... და კლდენიც ბოლმა-ნალველ მორეულნი მძიმედ ქშინავდნენ.

ხოლო არ იყო გაგება, რასა შერებოდნენ ლოდები და სკელებულნი, გაელენთილნი შშობელი დედის ცრემლით; და ყველა იმათ ცრემლით, ვინც-კი იყო დღე-მუდამ მოწამე სალის კლდის ტანჯვისა და მის მწუხარებისა...

ვაჟა-ფშაველა.





၃ၶ၀ ဗြန်။

I



ლის სინათლესთან ბრძოლით მოღლილი
დამის სიბნელე ფითრდებოდა, ფერი ეკა-
რებოდა...

უძილობისაგან მოქანულ ცის ბრტყელი-
ალა ვარსკვლავებს თვალები ნელ-ნელა
ეხუპებოდათ...

ქვეყნის დარღვეული პირ-ბაღრი მთვარე დაღლილი მგზავრი-
კით მოების გადაღმისაკენ ესვენებოდა...

ძლევა-მოსილი მზე თუმცა ჯერ არა სჩინდა, მაგრამ მის
სიცილს მოუწიბლა აღმოსავლეთი და იგიც მხიარული ქარქა-
თით წითლად ლუიოდა...

კად შეჩერებული ლეგა ღრუბლები ამოძრავდნენ, საით-ლაც მიეცვზაფრებიან...

ლალ-ფრთხებ გაშლილი გრილი ნიავი ორკ.მარტს ნისლის

ზეწირს ხდის და საიდუმლო ილერსიანი ტიტონი¹ გრიგორი² ბერძნები
ზღაპარს ენურჩულება...

ამოდის...

თენდება...

მტრედის ფერი ცის ტარიობი მზის ოქროს სხივებით
ისერება...

გარიერაედა...

სირთა შორის საუკეთესო მგალობელმა ტოროლაშ ანაზ-
დათ შეიტრთხიალა, ფრთა ფრთას შემოჰკრა და კამარ-კამარით
ანავარდა ლავარდ სიერუში...

დანარჩენი ფრინველებიც ფიერ-ხივილით წამოიშალნენ,
უველანი ერთხმად აჭიკერიდნენ... მათი სიმღერების წყრიალი
ანდამატურის ძლიერებით გაისმოდა მოელ მიდამოში...

ტყის სიღრმეში შეკრილი ანც ცი სიო დავლურს უვლის...
მეტის ლანგით ალტაცებული შვანე ფოთლებიც გეგონებათ
ტაშს უკრავენო, ისეთი ჰარმონიული შეთანხმებით შრიალე-
ბენ...

უველავერი ილვოძებს... განახლებულ სიცოცხლეს ეწა-
უება....

II

— ყიყლიყოთთ! — გაისმა საქათმის ქანდარაზე გაბლინძუ-
ლი მამლის ყიყილი...

— ყიყლიყოთ! — გამოეხმაურა მეორე.

— კაკავაკავი! — აკაკანდნენ ქათმები და შეიქნა მოელი
ალიაქოთი.

სოფელიც ახმაურდა, ამეტყველდა...

საქანელი ზლაზვნით დაიძრა ტრიალ მინდვრისკენ...

დიდი თუ პატარა, კაცი თუ ქალი, უველანი გარედ გა-
მოიშალნენ, კიან ცველებივით აფუსფუსდნენ... შარა გზაზე
მიმავალი შეურმის სევდიანი ლილინი გაისმა...

იგერ გიუანთ ახალ პატარძალს მხარზე ჭრელი დოქი
მოუგდია და წყალზე შიეშურება...

საკინძ-გადალელილი ხე-გლეჯიანთ ვანუა წყაროს/წმშპულა
რას ჩაუცულა და ცულს პირს ულესავს...

მელანიანთ ტეტიკას ბიჭს იღლიაში პურის ყუა ამოუ-
ჩრია და თავის ტოლ მეტრებისაკენ პატრონის ლანძღეა-თრე-
ვით მიაფუნდრუკებს ერთად-ერთ ოჯახის მარჩენელ ფურს...

სოფლის ბოლოში წელზე დოინჯ-შემოყრილი მამისახლი-
სი ძველ მებატონებავით გაჩერებული კანულარიასთან და
წარბ-შეკმუხხული რალაც გან კარგულების მოსდენას პირებს...


ხეზე ასული მყეირალა გზირი რაც ძალი და ღონე აქვს
ჩახლებილი ხმით გაცკიცის, ხალხს ყრილობაზე უძახის.


საქულას პატარა დუქანთან უსაქმურ გლეხებს ლაყბობა
და ლაზლანდარობა გაუმართავთ...

ერთ მზიან ეზოს დერეფნის წინ ჩვენ დედაბრებს თავი
მოუყრიათ და ახალ-ახალ გაგონილ ჭარებს კუკიუპებენ...

ზოგი თითისტარს ატრიკალებს, ზოგი წინდასა ქსოვს და
ზოგიც საჩეჩელს უბარტუნებს ყბებში...

გ. ქუჩიშვილი.





Цветок Гриз. 140


მხიარული უობა.

მოგონება გიმნაზიელისა

(თარგმანი)

(შ ე მ დ ე გ ი).

VIII.



ე და დრევუსსკიმ ერთმანეთთან დალაპარაკება ვერ მოვასწარით.

ჩვენი საწოლი ტახტები შორი-შორს იღება.

პან იანი დაწვა იმ ტახტზე, რომელთანაც თოფი და აბგა ეყიდა; კაზიმირმა იარაჯზე რაღაცა ფალასი გაიშალა, ფეხთ გაიხადა, ზევიდან რაღაცა ჩულის მზგავსი წითელრა, ღამე შშვიდობისა გვისურვა და მელისავით გაინაბა.

ჩვენც დავწექით; სანთი გავაქრეთ.

იანი ლოგინში ბორგავდა; ეტყობოდა ლაპარაკის მწერებულები როდა.

შართლაც ერთი-ორჯელ გაანათა იმისმა ჩიბუხში თახი, და შემდეგ ლაპარაკიც გაისმა.

— ყმაწვილებო! ნაწყენები ხომ არა ბრძანდებით, რომ ისე ვერ დაგიხვდნენ, როგორც გვეადრებოდათ, ჰა?

— რას ბრძანებთ, საიდან მოვიყიდათ მაგისთან აზრი? — დავიძახეთ ერთხმად თრთავებ. კაზიმირი მოჰყვა კიდევ მოუსვენრად ბორგვას.

— ჩემ სიძეს, — განაგრძო მან ლაპარაკი, — ბევრი საზრუნავი და დარღები იქნა... ბევრი, ბევრი! სასიამოენო-კი არაფერი. ხუმრობა ხომ არ არის, ყმაწვილებო, ამოდენა ოჯახის შენახები? მუშა ხელი-კი სახლში მხოლოდ თრია... თითონ ფელიქსი და მოსამსახურე ფრანგი. დიდ გვარიშვილი კლინიკ თითონი ხნავს, თითონ სთესავს და მყის. ასეთ ცხოვრებაში სამხიარულოდ ვიღა მოგვაცლის. კიდევ მადლობა ღმერთსა, ცოლი მხნე ადამიანი ჰყავს: ამაყი და თავ-მოყვარე პოლონელი ქალია, მაგრამ დიდი მუშაა... ისა, იადვიგა და მოხუცებული მარიამი ტრიალებენ ოჯახში.

რისაც-კი მოშენება და გაჩენა შეიძლება სახლში, ცველაფერი მოქმედებათ. ბაზარშიც-კი თითონ დადის, — აი რა-დედაკაცია!

ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. იანმა ყალიონი მოსწია და განაგრძო:

— სამაგალითო მხნე ოჯახია და საქმე-კი ეცარებათ, ვერ მოსდიოთ კარგად. აი, მაგ., ყმაწვილებო, აიღეთ ვანდა: ჩა კეთილი და კარგი გოგონაა, და დახეთ, როგორ ამახინჯებს კუზი! თბ., ღმერთო, ღმერთო, ეს ბიჭი ხომ...

აქ კიდევ ჩიბუხის ცეცხლმა გააშუქა იმისი წითელი ულვაშები...

— ამდა ეს დედ-მამას უნდა ეშველებოდეს და ანუგეშებ-დეს, — დაიწყო ისევ იანმა... — ეს-კი კოხტაობას უნდება. ბა-

ტონო, ეს კურტეა უყიფე, ეს პალტო, წილებიური რეზედენი ფულებსა სტყუებს მშობლებსა და სწავლით-კი არა სწავლით-მცირე საწყალი ამისი მამა წელებზე ფეხს იდგამს და ეს-კი არაფერს აინუნში არ იგდებს. რაღაც უდარდელი რამ არის! ის ამათივე მეზობელი პლავსკის შვილი მინსკში სწავლობს. ყმაწვილი გაკვეთილებით სცხოვრობს, პირ-იქით მძმესაც შველის. ამას-კი უველაფერი მზა-მზარეული მიართვით! ამას კიდევ ჯანი გავარდეს: რეები მოუგონია! შშენიერი სისახლე, ციხე-დარბაზი, ტენები, სანადირო ადგილები! პაი შე ბაქიავ, შენა! კარგი პანლურები გაკადრება, მაგრამ...

ჩეინ გატრუნვილები ვიყავით. არ ვიცი, რასა ჰერბინობდა დრევეუსსკი, და მე-კი საშინლად შემაწუხა ამ დავი-დარბაზ, ისე რომ ხმის-ამოლებაც-კი მეზარებოდა. გავინაბე და თავი მოვიმძინარე.

პან იანშა ვაბშმად ბლომად არაყი დალია და ის არ ას-ვენებდა.

— კარეტას გამოვიგზავნიო! ის, შე გაქსუებულო, შენა! ამა, ფელიქს, მიეცი ფულები: —გზის უჩვენებს! იადვიგა სა-სწავლებელში ვერ მიუკიათ უჭულობით; ანელის თავის დლეში ბაშმაკები არა ლირსებია. ამას-კი უთულდ საუკეთესო პალტო უნდა ჰქონდეს, უეჭველად: უბრალოთი იოლად ვერ წაიგა! დიალ, დიდი-გვარიშვილი ბრძანდება! პო-პოპო! სახრე-ები გინდა, შენა, სახრები!..

კიდევ დიდხანს ბობოქრობდა; მე ჩამეძინა.

. ძალში ხან ვანდა დამესიზრა, ხან პანა ბრონისლავა, ხან იადვიგა, მძინარე ბავშვით ხელში.

IX.

მეორე დღეს მუჯლუგუნშა გამომალვიძა. გავახილე თვალები და დავინახე დრევეუსსკი. ოთაბში ჩვენს მეტი არავინ იყო.

— ძალიან ხატანგში გავებით! — სოქვა დრეკვეს სკომირი რიცხვები
 — მარტლა, უხერხტლ მდგომარეობაში ვართ... პილატი მიეცა
 — მე დღეს მინდოდა წავსულიყავ, მაგრამ არ ვამიშვეს:
 ეს ცეტი ამბობს, ეწყინებათო.

— შესაძლებელია...

— ეჭ, ძმაო, ამ ოჯახში შიმშილობა ყოფილა. მე ჩემის
 ყურით გვიგონე. პატიოსნებას ვფიცავ, ეს ჩემდა უნებურად
 მოხდა... კაზმირის დღია თითქმას ტირიუმით მოსთქვამდა
 შიმშილობასა და იადვიგა ანუგეშებდა. — კაცს ყელზე დაადგე-
 ბა ამათი ლუკა. ფელიქსი ურიასთან წასულა ყავის სასყიდ-
 ლად.

— კაზმირი სადღა არის?

— დილით ადგა თუ არა, სადღაც გაიპარა. სულელი
 რცხვენიან.

მე უნებურად ვამეტინა.

— აბა, ზორბად ეგ ვაება მახეში!

— ნუ სცრუობს, — გულ-ნატკენის კილოთი მითხრა დრეკ-
 ვუსსკიდ.

მე ტანთ ჩაეცი და სასადილო ოთახში ვამოვედი.

აქ ფუსფუსებდა იადვიგა, მხიარული, მოცინარი სახით.

— დილა მშეიღობისათ! — მოვეესალმა ყმაწვილი ქალი. —
 ხომ კარგად გეძინათ?

მე სალაში მივეც დანარჩენ ბავშვებს.

დრეკვესსკი ჩემზე გაცილებით იძრე იდგა და უკვე კვი-
 ლას დამეცობრებოდა. ვანდა გვერდით მოუჯდა, ანტკე
 ზურგთან აეყუდა, იანი კი მუხლებზე შეაჯდა. დრეკვესსკი
 უაშბობდა ბავშვებს შობის ხის აშბაეს.

ანტკე პირ-დალებული უგდებდა ყურსა.

— ჩვენთვის მოხუცს შობის ხე არასოდეს არ მოუტანია,
 სოქვა პოლოს ანტკეიმ.

— ჭა სულელი ხარ! — უთხრა იადვიგამ, — ეგ ქალაქის ამ-
 ბაეს გიაშბობს.



— არა, არა, — ღიმილით შენიშვნა დრეივუსსკიშვრულის
ხე ცველგან იციან.

— მოწყენილები ხართ იქა? — შევეკითხე მე იადვიგას.
ქალმა გაილიმა.

— მოსაწყენად არა გვცალიან. მე და დედაჩემი მუდამ
საქმეში ვართ გართულინი. მარიამი დაგვიძერდა, მუშაობა
აღარ შეუძლიან. მე უმთავრესად ბავშვებს უვლი და, ფუ
დროს ვიშვენი, ოჯახურ საქმეშიაც მიცემველები ხოლმე.

— საკითხავი წიგნები ბევრი გაქვთ? — შევეკითხე მე.
ქალს პირისახე მოელრუბლა.

— არა, საკითხავად არც დრო გვაქვს. აი, ბიძა იანი
რამდენი ხანია მეპატიურება თავის ქალთან, მაგრამ როგორ
წავიდე?

ყმაწველმა ქალმა თავი იქნია და თმები უკან გადაიყარა.

— აგრო კაზიმირიც მოეიდა! კაზიმირ! დედამა ბრძანა
სტუმრები გაასეირნე და ჩვენი მდგომარეობა აჩვენეო.

კაზიმირმა რაღაცა ყალბის კილოთი მოვცა სალამი.

— თუ თქვენი სურვილიც იქნება, ყმაწველებო, წავიდეთ.
მინამ თქვენ გეძინათ, მე საყურდღლოდ ვიყავი.

იადვიგამ საყვედურით შეხედა ძმასა. ჩვენ პალტოვების ჩა-
ტა დავიწყეთ, და, მინამ გამოვეწყობოდით, ის განაგრძობდა:

— თუ გსურთ, სანადიროდ წავიდეთ. ნადირი ჩვენ ტყე-
ში ბევრია; კურდლელი, მელა, მგელი. თოფებს მჭედელსა და
მღვდელს გამოვართმევ.

— აბა, გაგვიძეხი წინა, სად უნდა წავიდეთ, — ვკითხეთ
კაზიმირს, როცა დერეფანში ჭიჭამლვედით.

— საითაცა გსურთ! აქ სულ ჩვენი მამულებია, — მიპასუ-
ხა კაზიმირმა და ირგვლივ ხელი მოატარა.

— გსურთ ტყეში წავიდეთ?

— არა, შორს არის, — სოჭვა დრევუსსკიმ,

ამ დროს დაგვინახა კაზიმირის მამამ და მოვციახლოვდა:

— აა! დილა შშეიდობისათ, ყმაწველებო! ჩვენი ადგილ-

შამულის დასათვალიერებლად გამოსულხართ! მობრძანდოფიციანული
მე გაჩვენებთ.

ჩვენ სალიმი მივეცით და გავყვეთ.

ახლა მოკლე ტყევი და მაღალ-ყელიანი ჩექმები ეცვა და
ისეთი დაჩიგრული და შეწუხებული აღარ გვეჩვენა. როგორც
გუშინ. ვვაჩვენა საბქელი, კალო, ბოსელი, საქათმე, პატარა
აბანო, საჯინიბო და ლიმილით წარმოსთვა:

— აი, მოკლი ჩემი ციხე-დარბაზი! მიწაც, აი, ის გა-
ხლავთ, რასაც. კალო-საბქელი გაიტანს ტყემდე. როგორა
გგონიათ, იქნება ექვსი დესეტინა? ეს გახლავთ საბოსტნეცა
და სახნავიც. ტყემდის სულ სამი დესეტინა არის. თუ ზეფ-
ხულში ხალისიანად იმუშავა კაცმა, სახლში ზამთრის საზრ-
დოს შეიტანს.

თორმეტ სათხე საღილად შიკვიწვიერს; იანი დაუღალა-
ვად ლაპარაკობდა. სახლის პატრონებსაც აღარ ემჩნევდათ
გუშინდელი შევიწროება; ლაპარაკში ყველანი იღებდნენ მო-
ნაწილეობას. კაზიმირიც-კი, რომელმაც კიდევ ნადირობაზე
ჩამოაგდო ლაპარაკი.

— ახლა არ მოხერხდება, — უთხრა მამამ, — პან-გრაბე მო-
სულა სტუმრებით; ტყის ყარაულმა მითხრა.

კაზიმირი აირია და გაჩვემდა.

— ყველა-ყველა, და დღევანდელი საღამო როგორ გვა-
ტაროთ? — იკითხა ბოლოს იანმა.

— მკითხაობანა ვითამაშოთ! — წამოიყვირა იადვივამ.

— მკითხაობა, მკითხაობა! — ხმა მისცეს ბაეშვებმაც.

საღილს შემდეგ დრეკვუსკიმ გამიხმო და მკითხა:

— შენ რამდენი გაქვს ფული?

— რვა მანეთი.

პაშ, გვეყოფა გზაში; მე ოცი მანეთი მაქვს. იცი, რასა
ვფიქრობ?

— რასა?



— მინდა დღეს ბაჟშებს შობის ხე გაუმართო. ექვემდებარება
ფაინე, შობის ხე არ უნახავთ.

— კარგი იქნება!... მაგრამ შეიძლება მასპინძლებს ეწყონოთ.

მაგის მე მოვაწყობ!

Ցռմղբնա ըսկցութեան անըն.

— მაში, კაზიმირს უკონვარი.

— ପାଠୀରେଣ୍ଡାଳ!

ამ ლროს შექმოვიდნენ კაზიმირი და პან რანი.

- მე მეძინება, ყმაწვილებო! — სუკვა იანქა: — არ შემი-
ძლიან, თუ საღილს შემდეგ თვალი არ მოვატულ.

— მოისცენეთ, — ლიმილით უთხრა დრევუსსკიმ, — ჩვენც
ჩვენ საქმეს შევუდგებით. კონია, შენც უნდა დაგვეხმარო.

— ରା ସାହେବ କୁହାତି? — ରାଜନାଥ ଗନ୍ଧା-

დრეკვესუსკიმ განუხიარა იანს თავისი აზრი და ბოლოს
დაუშემცია:

— მთოლოდ ანდრე მეუბნება, — შეიძლება მასპინძლებს ეწყინოთ.


პან იანი ფეხბურთისტი.

— რას ამბობთ?! ამ ეწყინებათ. ძალიან კარგი საქმე
მოგიფრიდათ. როგორ გაეხარდებათ ბავშვებს!

იმის სახეს სიამოვნება დაეტუთ.

8. კლიმატურული.

(গোলোকের গুড় ও জিবি জোড়া)।





პანდორას პილოგანი.

(ძეველი ბერძნული თქმულება).

I.



ვეღ დროში ხალხი სხვანირი იყო, უცელანი მყუდროდ და მშეცდობიანიდ ცხოვრობდნენ: უცვარდათ ერთმანეთი და ეხმარებოდნენ ერთმანეთს. არ იკოდა ხალხმა, რას ნიშნავდა სიბოროტე, წყრომა, შური, სიძულვილი, ჯავრი და ცრემლები.

აი ამ დროში ცხოვრობდნენ ერთ სოფელში, რომელსაც დიდი ტყე ეკრა ირგვლივ, ორი ობოლი, და ძმა, — პანდორა და ადრიასტი. ბავშობიდანევე არ იკოდნენ გაჭირვება, რადგან მეზობლები ზრუნავდნენ იმათვების, როგორც საკუთარ შეილებისათვის.

როდესაც ადრიასტი თერთეტის და პანდორა ათი შელის გახდა, ბავშვებმა თავისთვის მარტო იწყეს ცხოვრება. პანდორა განავებდა ოჯახს, ადრიასტი კი დადიოდა ტყეში შეშისთვის, კაკლისთვის და სხვა სანოვაგის საშოერად. ასე იკვებებოდნენ ბავშვები. ხორცის იმ დროში არავინ სკამდა, იმი-

ტომ რომ ზალიშ არ ხოცდა საქონელს, ფრინველს, თეთრებკა იყვებებოდნენ მხოლოდ პურით, რძით, შევანგლებულისა და ხილულობით.

ერთ დღეს აღრასტი წავიდა ტყეში ხილეულის მოსა-
ტანად, პანდორა-კი შინ ოჯახობდა.

“უცტრად გიოლო კარი და ოთახში შემოფიცა ერთი უცნობი კაცი, რომელსაც ხელში კიღობანი ეჭირა. უცნობმა აჩაფერი არ უთხრა პანდორას, იქვე შეა ითახში დადგა კიღობანი და ჩრდილევე გავიდა განედ...

გათვა პანდორა ამ შემთხვევამ. მოვიდა მისი ძალა და დაიწყეს ორთავებ საკუროველი კიდობნის სიჯვა. გარეგნობა ძალიან ლაშაზი ჰქონდა; ოქტოოთ მოვარაყებული და სურათებით შემუშალი იყო; არც ხელ-საცილი, არც გასაღები ამ კი დობანს არ უჩანდა. ბავშვებმა გადასწყვიტეს, ეს ნამდვილად დასაჯდომი სამია.

ଓଡ଼ିଆସ୍ତ୍ରୀ ମାଲାମାଟିଙ୍ଗିଲାପ କାହାରିଲା ଦାରୁରେଇ, କାନ୍ଦଳରୋଜୁ
ମାତାକୁଣ୍ଡି ଫାରିନା ଦା କିନ୍ତୁରୁଷ୍ମାନିତ ଶ୍ଵପ୍ନୀରିଲା କୁରାମବାନୀସ.

უცბად პანდორამ კიდობნის ცალ გვერდზე შეამჩნია
მბრძყინვავი ოქროს ლილი, რომელიც ბავშვებმა ვერ შენი-
შეს.

— ଅନ୍ତରୀଳକୁ!.. —ଗୋଦାକା ପାନ୍ଦୁମାଥି ଦିଲାସ, — ମନ୍ଦିର ହିଂସା,
ପ୍ରିଯମହାନ୍ତିର ଘୋଷଣାଟ!..

აღრასტმა საჩქაროდ შემოირბინა ოთახში; პანდორა გაკვირვებული დარჩა, რადგან კიდობანს ის ლილი აღარ ჰქონდა. აღრასტმა დაუკინებელი თავის დას, თანაც ეუბნებოდა:—მოგჩვენებია, ნამდვილად მოგჩვენებია!..

π.

მთელმა დღემ ჩვეულებრივ მხიარულად და კარგად ვი-
არა. ბავშვები ტყეში სეირნობლნენ და თანამდებლნენ. ბინდო-



სას პანდორა სახლში გაიქცა ვახშეის მოსამზადებლიად; უკუკინად ბინა ოთახში,—დაინახა, რომ კიდობანზე ოქტოს ლილი ისევ ბჟყურიალებს. იმავე დროს გთილო სახლის კარები და შემო-ჰყო თავი იმ უცნობმა კაცმა, რომელმაც ეს უცნოური კიდო-ბანი მოიტანა, და უახრა:—მარტო შენთვისაა ეს კიდობანი, პანდორა: გესმის?.. მხოლოდ შენთვის!

აღელდა პანდორა ამ სიტყვების გაგონებაზე და გაკირ-ვებს მიეკა... იქამდის ცველაფერი სიერთო ჰქონდა ძმასთან, ეს კიდობანი-კი რაღასთვისაც მარტო მას არგუნეს!.. უეურად პანდორას კიდობანში რაღაც ჩაწინი მოესმა,—ვიღაც ფურ-ფურთებდა შეგ, კედლებს ფხავნილა თა საცოდავის ხმით წრი-პინებდა:

— გამოგვიშვი, თქ, გამოგვიშვი, პანდორა!.. გამოგვიშვი, გაგვანთავისუფლე ამ საპყრობილედან!..

საშინელმა შიშმა იტანა პანდორა და ოთახიდან გარედ გავიარდა. ამ დროს ძმას შეხვდა და ცველაფერი უამბო, რაც მოხდა... ადრასტმა კარგად დაათვალიერა კიდობანი და და-რწმუნდა, რომ არავითარი ლილი არ ჰქონდა და შიგაც სი-ჩუმე იყო... გაიქნია თავი და დას მიმართა:

— ისევ მოგწევნებია ცველა ეს, პანდორა!.. ამ კიდობანზე ფიქრს გაანებე თავი; არაფერიც არ არის!

იმ ღამეს ორთავენი ხმა-ამოულებლივ დაწვენენ დასაძინებ-ლად,—ადრასტი ამ ამბით აღელვებული,—პანდორა-კი ძმის უნდობლობით ნაწყენი.

შეორე დღეს პანდორა დილა-ადრიან ადგა, რადგან სა-ხლის მოელას უნდა შესდგომოდა. უეურად შეხეტა ამ საო-ცარ კიდობანს და შეამჩნია, რომ ადამიანთა სურათები, რო-მელნიც კიდობანს გვერდებზე ჰქონდა ამოკრილი, ამოძრავდ-ნენ, ცოცხლებსავით იცინოდნენ, ხელებს უქნევდნენ და პან-დორას თავისკენ ეძახდნენ; ის ოქტოს ლილიც თითქოს იმის გასაჯავრებლიად ბრწყინავდა...

პანდორა ცნობის მოყვარეობაშ შეიპყრო:



„Ցցևածլոց զուգական շո յարցու համբեցի ոչուս շահագութիւնը է անգործած.— Բուջու հիմաց զայտեսնու... Տայլ յրտու— Իռպա օքուա-
Տրու այ օքու, ովհուս լուլո Տագուաց Ֆյուրեա!.. Ըստունուն
Կուգական դա Տակառուց Շաակուր Տեղու ովհուս լուլու. Կուգո-
նուս Տանյուրացու զագացարդա, դա Շապրուց ոյնօւն օմոցիոնց
Ցուցու ցանցու Շայո, Տարար յրտուան Ուժոցը լուսա. Կայուն
Տանչարեցու Տանածացնո, Մյուսալունո, Տասայուլունո ոչանեն.
Կայունու Տանցու Նեց Ենցու: Երտու յրկյա „Դուռութեա“, Ցյո-
ւու— „Ենցութա,“ Ցյուամց— „Ցյուո,“ Հանառիցնցնեսաց— „Տոնցու-
ցուլո,“ Պաշտու, “ Տուպրու,“ „Շառուց“ դա Օտաննանու օցած-
Ցուցուն դա Տաճացլուն. Ցուցու օմոցրունց ուրու Ուժոցը,
Տեզութիւ Շայու Ցուցունուն դա Լումանու Ցցևածլուցու; Երտու
յրկյա Տանցու Ցուցունու,“ Ցյուամց— „Ուցու.“

მონაცემის გულწერის თანხის ჯემი ჰქონდა ჩამოყიდული,
რომელშიც „კრემლები“ მოეგროვებინა.

„მონაცემებიც,“ და „იმედიც“ გაშორდნენ თავის. მოუსვე-
ნარ ამხანაგებს და იქვე სახლის ერთ კუთხეში მიიმალნენ...

— რისთვის გახსენი კიდობანი, პანდორა? — წყვენით უთხრა დას ადრასტმა.

— პანდორის უნდოლა გამოტეხილიყო, რომ უცხად ერთი იმ მახინჯობანი, სახელიდ „სიცრუე“, მივარდა და გულში ჩატანდა.

—მე არ გამიხსნია!.. — სოქვა პირველი ტყუილი პანდორაშ.

— რისთვის ლაპარაკობ აგრე?.. აღელვებით უთხრა ადრა-
სტმა და ხელი უნდა დაეცირა პანდორასთვის, მაგრამ ამ დროს
შეუძლებელი მახინჯი — „სიბრაზე“ — მისურინდა პანდორასთან და ისიც
ჩაუძვრა გულში.

— მომშორდი, რა გინდა ჩემგან, რას ჩამაციფლი! ჩანაბეჭდი ვაბრაზებით წამოიძიხა პანდორამ.

